

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

 **ზურაბ ბუცხრიკიძე**

„16“ „01“ 2015 წელი

ეგზ. № 1

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში **აშ = 7/00**

2015 წელი

შინაარსი

აუდიტის მიზანი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
აუდიტის მიდგომა	5
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	6
ფინანსურ ანგარიშგებაზე უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	8
სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა	8
ნაკადების აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით	10
ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა	11
ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)	12
საინვენტარო ბარათები	12
ინვენტარიზაცია	13
აუდიტის დასკვნა - უარყოფითი დასკვნა	15
სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება	16
სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	31
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	45
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	45

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული არღიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;

- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;

- სხვა დამატებით პროცედურებს, რომელიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

- ✓ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის საიმედოობა;
- ✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. გარდა ამისა, საქმიანობის ყველა ეტაპზე არ არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების

გადანაწილებას. ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტიანობაზე, რის გამოც ვერ ხდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული წინასწარი აუდიტორული პროცედურებით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც - მაღალი.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სიღნაღის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 2 ქალაქი და 23 სოფელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 42.6 ათას კაცს¹.

სიღნაღის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი² და არასაკუთარი შემოსულობები. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი ახდენს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას. თვითმმართველი ერთეული სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

2012-2013 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 17 381.0 ათასი ლარი. მათ შორის,

¹ www.lsg.ge

² მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი.


შემოსავლები - 17 018.2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება - 355.0 ათასი ლარი, ხოლო ფინანსური აქტივების კლება - 7.8 ათასი ლარი. ბიუჯეტის შემოსულობების 97,9% შეადგინა შემოსავლებმა.

ცხრილი 1: სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების შემოსავლები (ათასი ლარი)

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	ჯამი
<i>შემოსავლები</i>	<i>7686.1</i>	<i>9332.1</i>	<i>17 018.2</i>
გადასახადები	2047.1	2313.4	4360.5
გრანტები	5214.5	6121.3	11335.8
სხვა შემოსავლები	424.5	897.4	1321.9

მუნიციპალიტეტის შემოსავლებში ყველაზე მაღალი ხვედრი წილით გამოირჩევა გრანტები.


დიაგრამა 1: სიღნაღის მუნიციპალიტეტის გრანტები 2012-2013 წლებში (ათასი ლარი)



2012-2013 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, მუნიციპალიტეტის გადასახდელებმა შეადგინა 17 045.7 ათასი ლარი. მათ შორის,

ხარჯებია 13 439.0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 3 571.5 ათასი ლარი და ვალდებულებების კლება - 35.2 ათასი ლარი.

დიაგრამა 2: სიღნაღის მუნიციპალიტეტის ხარჯები 2012-2013 წლებში (ათასი ლარი)



ფინანსურ ანგარიშგებაზე უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა

კრიტერიუმი: საბიუჯეტო ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებას აწარმოებენ ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით. ბუღალტრულ ანგარიშგებაზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, რომლებიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს. დოკუმენტები შემოწმებისა და მიღების შემდეგ სისტემატიზირდება და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აისახება თითოეული ანგარიშისთვის გახსნილ „მემორიალურ ორდერებში“. მემორიალური ორდერის ჩანაწერები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით თავს იყრის მაგროვებელ

უწყისებში. მაგროვებელი უწყისებიდან მონაცემები გადაიტანება სინთეზური აღრიცხვის ძირითად რეგისტრში – „მთავარ წიგნში“, რომელიც იხსნება ყოველი წლის დასაწყისში, სადაც გადმოტანილია გასული წლის წლიური ბალანსის საბოლოო ნაშთები – საწყისი ნაშთების სახით.

არსებული მდგომარეობა: სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურები არ ახდენენ სააღრიცხვო დოკუმენტაციის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით სისტემატიზირებას და ყველა სამეურნეო ოპერაციის ასახვას საბუღალტრო ჩანაწერებში, რის შედეგადაც ხშირია ცალკეული ნაკადების აღურიცხაობის შემთხვევები. შესაბამისად, სათანადოდ არ იწარმოება მაგროვებელი უწყისები და „მთავარი წიგნი“, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველს.

გავლენა:

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი ბუღალტრულ გატარებებს არ აწარმოებს ანგარიშგების ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით, არასათანადოდ ხორციელდება:

- ორგანიზაციის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაციის ჩამოყალიბება, რომელიც აუცილებელია ოპერატიული ხელმძღვანელობისა და მმართველობისათვის, აგრეთვე მიმწოდებლების, სტატისტიკური ორგანოების, ბანკებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ამ ინფორმაციის გამოსაყენებლად.
- დაწესებულების ქონებისა და მისი მოძრაობის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების კონტროლი.

- საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ნეგატიური მოვლენების დროული აღკვეთა, საბუღალტრო ინფორმაციის საფუძველზე რეზერვების გამოვლენა და მობილიზება და სხვ.

ნაკადების აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით

კრიტერიუმი: ეკონომიკური მოვლენები აღრიცხვაში აისახება მისი მოხდენის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების მიღებისას, დარიცხვის ან საკასო მეთოდის გამოყენებით. ამასთანავე, საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული გადასახდელებით განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების, აქტივებითა და ვალდებულებებით ოპერაციებისა და ორგანიზაციის შემოსავლების აღრიცხვისათვის გამოიყენება დარიცხვის მეთოდი.

არსებული მდგომარეობა: 2012-2013 წლების სიღნაღის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის ბალანსებში ნაკადები, ანუ მოვლენა, რასაც შედეგად მოსდევს ეკონომიკური ღირებულების შექმნა, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღირიცხებოდა საკასო მეთოდით.

მუნიციპალიტეტის მიერ დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება.

გავლენა: აღრიცხვის არასათანადო მეთოდის გამოყენება გავლენას ახდენს იმ ინფორმაციის სამართლიან წარდგენაზე, რომელიც ასახულია შემდეგ დოკუმენტებში:

- ბალანსი;
- ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი - ფორმა № 2);
- ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა № 3);

- ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა № 5);
- ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე (ბალანსის დანართი - ფორმა № 6).

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების³ შესაბამისად, მუნიციპალიტეტი, როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია ვალდებულია, დადგენილ ვადებში მოამზადოს კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

არსებული მდგომარეობა: სიღნაღის მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს წარუდგინა ფინანსური ანგარიშგება, თუმცა ვერ წარმოადგინა ბალანსისა და მისი დანართი ფორმების მუხლების შესაბამისად ჩაშლილი ინფორმაცია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გარემოება გამოწვეულია იმით, რომ მუნიციპალიტეტი არ ახდენს ეკონომიკური მოვლენების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას და ფინანსურ ანგარიშგებაში მონაცემები შეტანილია ბუღალტრულ ჩანაწერებზე დაყრდნობის გარეშე.

გავლენა: გამოვლენილი გარემოების შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია არაზუსტია და სრულად არ ასახავს მუნიციპალიტეტის რეალურ ინფორმაციას აქტივების, მოთხოვნების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საკრებულო და სხვა დაინტერესებული მხარეები არასწორად მოახდენენ წლიური ფინანსური შედეგების განხილვას, შეჯამებას, გასული და მიმდინარე წლების

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

მონაცემების შედარებასა და ანალიზს. შედეგად, არასწორ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით ვერ იქნება მიღებული სათანადო გადაწყვეტილებები, რაც შემდგომ არსებით გავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის მომავალ საქმიანობაზე.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)

კრიტერიუმი: ძირითადი კაპიტალის მოხმარება ნიშნავს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას. „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხება წლის ბოლოს, სრული კალენდარული წლისათვის და გამოიანგარიშება მათი საწყისი (პირვანდელი) ღირებულების გამრავლებით წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ წლიურ ნორმაზე.

არსებული მდგომარეობა: პასუხიმგებელი პირის განმარტებით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ ძირითად საშუალებებს არ ერიცხებათ ცვეთა და შესაბამისად, იგი არ არის ასახული ორგანიზაციის ბალანსში.

გავლენა: აღნიშნული გარემოება არსებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსებში აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთების სისწორეზე, აგრეთვე ბალანსის იმ დანართ ფორმებზე, სადაც აღირიცხება „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“. კერძოდ, „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (შესაბამისად, ბალანსის დანართები - ფორმა №2, ფორმა №3, ფორმა №5).

საინვენტარო ბარათები

კრიტერიუმი: აღრიცხვის ორგანიზებასა და მოვლა-შენახვაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად, ძირითად აქტივებს, გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებსა და

ფასეულობებს მიღებისას მიენიჭებათ საინვენტარო ნომრები, რომლებიც მოცემულ აქტივებს რჩებათ ორგანიზაციაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. თითოეული საინვენტარო ნომრის მიხედვით იხსნება დადგენილი ფორმის საინვენტარო ბარათი, სადაც მიეთითება ბარათით განსაზღვრული რეკვიზიტები. გარდა ამისა, ჩაიწერება ობიექტის (საგნის) მოკლე ინდივიდუალური დახასიათება.

არსებული მდგომარეობა: მუნიციპალიტეტი არ იყენებს საინვენტარო საბარათე სისტემას. აქტივები, წარმოქმნის თარიღის შესაბამისად, აღრიცხულია საერთო სიის სახით, სადაც ასახული არ არის ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა ქონების ღირებულება და მათზე დარიცხული ცვეთა.

გავლენა: გამოვლენილი გარემოება არსებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივების სამართლიან წარდგენაზე. რადგან მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს საინვენტარო ბარათებს, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია დაიკარგოს ან არასწორად აისახოს ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის დოკუმენტებში.

ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების⁴ - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია

⁴ 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების ჯგუფებისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული სხვადასხვა ვადები. კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

არსებული მდგომარეობა: 2012 წელს სიღნაღის მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია ინსტრუქციის შესაბამისად. კერძოდ, საინვენტარიზაციო კომისიამ მხოლოდ რაოდენობრივად გადაითვალა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ინვენტარის ნაწილი და აღარ მოუხდენია მათი ღირებულების დადგენა და შედარება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან. რაც შეეხება 2013 წელს, სიღნაღის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან.

გავლენა: ის გარემოება, რომ 2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინვენტარიზაცია არ განუხორციელებია, მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზაციას სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური მარაგების, ასევე მცირეფასიანი აქტივების მოძრაობაზე. ასევე არ ხდება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება, აქტივებისა და ვალდებულებების შედარება ფაქტობრივ ნაშთებთან. გამოვლენილი გარემოების შედეგად დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

აუდიტის დასკვნა - უარყოფითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გამოთქვამს უარყოფით მოსაზრებას სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსურ ანგარიშგებაზე. უარყოფითი მოსაზრების საფუძველია ფინანსური ანგარიშგების ყველა არსებითი ასპექტის შეუსაბამობა შემდეგ საკანონმდებლო მოთხოვნებთან:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბალანსი

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ფორმა №1

ორგანიზაციის ბალანსი

აქტივები	ანგარიშისნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთიწლის (კვარტლის) ბოლოს
<u>I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები</u>			
ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
ნაღდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
ანგარიშისაბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის	1250	1557384	734907
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
მოკლევადიანი სესხები	1320		
აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
დეპოზიტებზე და სხვა ფინანსური აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვ	1354		
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდ	1355		
გადახდილი დღგ	1356		
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		

მოთხოვნები ბარტერიტ	1410
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460
მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480
გრძელვადიანი სესხები	1510
სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530

II. არაფინანსური აქტივები

სტრატეგიული მარაგები	1610		
სხვა მატერიალური მარაგები	1620	211195	487846
შენობა-ნაგებობები	2110	902741	2694628
მანქანა -დანადგარები და ინვენტარი	2120	63793	99986
სხვა ძირითადი აქტივები	2130	1600	6320
დაუმთავრებელი მშენებლობა	2140		
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
ფასეულობები	2300		
არაწარმოებული აქტივები	2400		

ბალანსი

2736713

4023687

ვალდებულებები და კაპიტალი

ანგარიშის
ნომერი

ნაშთიწლის
დასაწყისისთვის

ნაშთიწლის
(კვარტლის)
ბოლოს

I. ვალდებულებები

მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	66088	161251
აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
ვალდებულებები ბარტერიტ	3230		
გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
გადასახდელი დღგ	3242		
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
სხვა გადასახდელები	3244		
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	3246		
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		

ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დამხარებით დარიცხული	3255		
დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დამხარებით დარიცხული	3256		
ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
გადასახდელი სტიპენდიები	3258		
სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		1200
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		
<u>II. კაპიტალი</u>			
წმინდა ღირებულება	5100	2670625	3861236
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
გაუნაწილებელი მოგება	5220		
დაუფარავი ზარალი	5230		
<u>ბალანსი</u>		2736713	4023687

III. საცნობარო მუხლოები

საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02
გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04
პირობითი მოთხოვნები	05
პირობითი ვალდებულებები	06
საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08
ვადაგადაცილებული დავალიანებები	09
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10
განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა(საკაზო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და
1. ხარჯები	7211800	7211800	7045106	6915700	6915700	6915700	
1.1 შრომის ანაზღაურება	1241300	1241300	1230171	1228914	1228914	1228914	
1.1.1 ხელფასები	1241300	1241300	1230171	1228914	1228914	1228914	
1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	1241300	1241300	1230171	1228914	1228914	1228914	
1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	1241300	1241300	1230171	1228914	1228914	1228914	
1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო							
1.1.1.1.3 პრემია							
1.1.1.1.4 დანამატი							
1.1.1.1.5 ჰონორარი							
1.1.1.1.6 კომპენსაცია							
1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით							
1.1.2 სოციალური შენატანები							
1.2 საქონელი და მომსახურება	1704100	1704100	1561508	1546900	1546900	1546900	
2.1.1 შტატგარეშე მომუშავეთ ანაზღაურება	227000	227000	222275	221870	221870	221870	
2.1.2 მივლინებები	3300	3300	2099	2099	2099	2099	
2.1.3 ოფისის ხარჯები	426800	425800	405920	376200	376200	376200	
2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	53000	69000	64000	55300	55300	55300	
2.1.5 კვების ხარჯები							
2.1.6 სამედიცინო ხარჯები							
2.1.7 რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	8500	8500	7770	7770	7770	7770	

2.1.8 ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაცია და მოვლა შენახვის ხარჯები	227700	227700	208261	208261	208261	208261	
2.1.9 სამხედრო ტექნიკის ტყვია-წამლის შემენის ხარჯები							
2.1.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	742800	742800	675400	675400	675400	675400	
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება							
1.4 პროცენტი							
1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე							
1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე							
1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე							
1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე							
1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე							
1.4.2 საშინაო ერთეულებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა							
1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე							
1.5 სუბსიდიები	1098000	1098000	1098000	1093055	1093055	1093055	
1.6 გრანტები	930000	930000	930000	930000	930000	930000	
1.6.1 უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს							
1.6.1.1 მიმდინარე							
1.6.1.2 კაპიტალური							
1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს							
1.6.2.1 მიმდინარე							
1.6.2.2 კაპიტალური							
1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	930000	930000	930000	930000	930000	930000	
1.6.3.1 მიმდინარე							

1.6.3.2 კაპიტალური	930000	930000	930000	930000	930000	930000	
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	541000	541000	535158	522920	522920	522920	
1.7.1 სოციალური დაზღვევა							
1.7.1.1 ფულადი ფორმით							
1.7.1.2. სასაქონლო ფორმით							
1.7.2 სოციალური დახმარება	537300	537300	530625	519500	519500	519500	
1.7.2.1 ფულადი ფორმით	454800	454800	454800	442100	442100	442100	
1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	82500	82500	82500	77400	77400	77400	
1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	3700	3700	3400	3400	3400	3400	
1.7.3.1 ფულადი ფორმით	3700	3700	3400	3400	3400	3400	
1.7.3.2 სასაქონლო ფორმით							
1.8 სხვა ხარჯები							
1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა							
1.8.2 სხვადასხვა ხარჯები							
1.8.2.1 სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	23000	23000	6075	5140	5140	5140	
1.8.2.2 სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები	1703500	1674500	1674500	1593900	1593900	1593900	
მონაცემები შტატით და შტატგარეშე რიცხოვნობის შესახებ							
მაჩვენებელთა დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო				
	წლიური გეგმით	ფაქტობრივად	წლიური გეგმით	აქტობრივად			
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა	165	165					
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	65	65					

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (ათასი ლარი)

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამკვეთ ულიცვლით	დაზუსტებ ულიცვლით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ჯი)
1	2	3	4	5	6
1. არაფინანსური აქტივები	1953720	1923720	1905823	1797607	1797607
1.1 ძირითადი აქტივები	1953720	1923720	1905823	1797607	1797607
1.1.1 შენობა-ნაგებობები	1949000	1918000	1900103	1791887	1791887
1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	205000	205000	205000	173293	173293
1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები					
1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები					
1.1.1.4 ქუჩები					
1.1.1.5 გზები	227700	227700	220991	216861	216861
1.1.1.6 ხიდები					
1.1.1.7 გვირაბები					
1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	1027900	1027900	1027900	961127	961127
1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	334400	303400	293550	287944	287944
1.1.1.10 მილსადენები	97000	97000	96277	96277	96277
1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	57000	57000	56385	56385	56385
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	0	1000	1000	1000	1000
1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები					
1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		1000	1000	1000	1000
1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	4720	4720	4720	4720	4720
1.1.3.1 კულტივირებული აქტივები					
1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები					
1.1.3.2.1 ლიცენზიები					
1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	4720	4720	4720	4720	4720
1.2 მატერიალური მარაგები					
1.2.1 სტრატეგიული მარაგები					
1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები					
1.2.2.1 ნედლეული და მასალები					
1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება					
1.2.2.3 მზაპროდუქცია					
1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი					
1.3 ფასეულობები					
1.4 არაწარმოებული აქტივები					
1.4.1 მიწა					
1.4.2 წიაღისეული					
1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები					

1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრი					
1.4.3.2 სხვა დანაწენ იბუნებრივი აქტივები					
1.4.4 არაწარმოებული არამატერიალურ იაქტივები					

დანართი ფორმა №2-2

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	დამტკიცებულ ი გეგმა	დაზუსტებულ ი გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. ფინანსური აქტივების ზრდა					
1.1 საშინაო					
1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები					
1.1.2 ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა					
1.1.3 სესხები					
1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი					
1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები					
1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები					
1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანები					
1.2 საგარეო					
1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები					
1.2.2 ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა					
1.2.3 სესხები					
1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი					
1.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები					
1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები					
1.2.7 სხვა დებიტორული დავალიანები					
1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება					
2. ვალდებულებების კლება	18200	18200	18191	18135	17144
2.1 საშინაო	18200	18200	18191	18135	17144
2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	1427	1427	1427	1427	1427
2.1.2 ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა					
2.1.3 სესხები	16773	16773	16764	16708	15717
2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მ.შ.სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)					
2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები					
2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები					
2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანები					
2.2 საგარეო					
2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები					
2.2.2 ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა					
2.2.3 სესხები					

2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მ.შ.სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)					
2.2.5 დაზღვევის ტექნიკური რეზერვები					
2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები					
2.2.7 სხვა კრედიტორული დავალიანები					

ბალანსის დანართი ფორმა №3

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ანგარიშის N	დებიტი	თანხა	ანგარიშის N	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	1553562
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	1228914	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	5214500
7200	საქონელი და მომსახურება	1546900	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება		6000	შემოსავლები	2457226
7310	მ.შ.ფიზიკური ცვეთა		6300	მ.შ.გრანტები	
7400	პროცენტი				
7500	სუბსიდიები	1093055			
7600	გრანტები	930000			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	522920			
7800	სხვა ხარჯები	1593900			
	აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა			აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	
1300-1400	ფინანსური აქტივები		1300-1400	ფინანსური აქტივები	23682
3000	ფინანსური ვალდებულებები	18100	3000	ფინანსური ვალდებულებები	
1600-2000	არაფინანსური აქტივები	1797600	1600-2000	არაფინანსური აქტივები	231700
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები *შემოსავლების საკასო შესრულებით				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				

	სადებეტო ბრუნვა	8731389		საკრედიტო ბრუნვა	7927108
	სულ ჯამი:**	8731389		სულ ჯამი:**	9480670
	ნაშთი პერიოდის ბოლოს			ნაშთი პერიოდის ბოლოს	749281

ბალანსის დანართი ფორმა №4

ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

შემოსავლები		სულ		
		გეგმა	საკასო	ფაქტობრივი
